ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბიკონი

კვირეული ორგანო

№ 4

სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირი

კვირა 11 თებერვალი 1923 წ.

ფასი 10 ათასი მან.

მისამართი: ტფილისი. ხელოვნების სასახლე სვრგ. ქ. № 13 ტელ. 17—51

უკრისტიანესი თეატრი

(„სალომეას“ დადგმის გამო)

„ჩვენ დავისვენებთ, ბიძია ვანია,..
ჩვენ დავინახავთ ზეცას შემკობილს
ალმასებით,... ჩვენ მოვისმენთ
ანგელოსთა ქოროს...“
(სონია—„ბიძია ვანია“—ჩეხოვისა)
„მე ვაკოცე შენს ბაგეს, იოქანან“
(„სალომეა“—ოსკარ უაილდის.)

აკრძალეს სალომეა! აუკრძალეს ვ. თ. კომისარჟევსკაიას განეხორციელებინა ეს უწმიდესი ხატი, ეს უწმიდესი ქალთა შორის. თქვენ ეს გაღელვებთ, თქვენ პროტესტს აცხადებთ, თქვენ გიკვირთ, —მე კი არას შემთხვევაში არა.

ნუ-თუ თქვენ აქამდის ვერ გაიგეთ, რომ ჩვენი თეატრი, თეატრი ჩვენი თანამედროვეობისა არის—**უკრისტიანესი** თეატრი.

ეკლესიის მამები ტყვილად უგზავნიან ანათემას მსახიობებს; მიხვდით, რომ ისინი არიან ყველაზე მორჩილნი კრავნი სამწყსოსი, ყველაზე კეთილ მორწმუნენი. თქვენ არ გჯერათ. მაშ ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ფაქტი. მე მყავდა ერთი მეგობარი—ხუცესი, ყველაზე ჩეულებრივი ხუცესთა შორის. ზომაზე იყო ‘მორონიანი, ზომაზე სვამდა, ზომაზე ქადაგებდა, ზომაზე იგინებოდა... მხოლოდ ერთი ცოდვილი გატაცება ახასიათებდა ამ ხუცესს: მას უზომოდ უყვარდა თეატრი. და აი მოვიდა იგი მოსკოვში, მომნახა მე, და მეოთხე თუ მეხუთე ჭიქის შემდეგ გამომიტყდა, რომ იგი მოკლებულია ძალას წინ-აღუდგეს ერთს ცდუნებას: წავიდეს მხატვრულ თეატრში. გადავაცვი ამ ხუცესს პიჯაკი და წავიყვანე „ბიძია ვანია“-ზე. „კარგია“,—მითხრა მან სპექტაკლის შემდეგ, „მართლაც რა საჭიროა აქ ამდენი ბრძნობა. აქ ყველას მიეზღოს ის, რაც ეძლევა; ხოლო დანარჩენი მიეზღოს ყველას ზეცაში“.

და უეცრად სალომეას უარი უთხრეს მიეღო დედამიწაზე ის, რაც მას არასდროს არ მიეცემა უკრისტიანეს ზეცაზე! ცხადია!

თქვენ ფიქრობთ, რომ მე ვაჭარბებ, ვამუქებ ფერებს! არაა დროს. გადაათვალიერეთ მთელი ჩვენი რეპერტუარი; გადახედეთ გალერეას სახეებისა, რომელიც ცხადდება ჩვენ წინაშე ყველაზე უფრო თანამედროვე თეატრში. რა არის ეს თუ არა უკრისტიანესი თავის დამცირება ინტელიგენციისა ზეცაზე მიზღვის მოლოდინში?..

დამშვიდდით მამებო! ნუ სწყენოთ თანამედროვე თეატრს, არამედ აკურთხეთ იგი, ის ემსახურება იმავე საქმეს: თავდაბლობას ან სიმშვიდეს დედამიწაზე.

ყოველ შემთხვევაში „მხატვრულ თეატრს“ წინაშე თქვენ ვალდებული ხართ როგორც მისი რეპერტუარისათვის, ისე იმ პატენტისთვის რომელსაც გი იძლევა სამოთხეზე.

განდევნეთ ცოდვილნი, ძირს კომისარჟევსკაია და მისი ძიებანი, აიმაღლეთ ხმა დიაკონის კილოთი: „კათაკმეველნო განვედით“. ეს სამართლიანია; მე ეს არ მაკვირვებს; მაგრამ დანარჩენები, აკურთხეთ; ისინი ისეთივე ხუცესები არიან, მასწავლებელნი სიმშვიდის—მოყვარეობისა და მოთმინების.

ასე იყო ეს ოდესღაც; ასე მომიხდა მე დამეწერა სალომეას შესახებ მისი დადგმის წინ, და მაშინ ცენზურამ ამიკრძალა დამებეჭდა ეს.

ხოლო ეხლა?

იგივე სალომეა, და მისვლა მეორე მხრით. „რაფინიური დაწვლილებული ესთეტობა..„ ბურჟუაზიული პიესა, პიესა ბურჟუაზიულ კვარტალის გემოვნებაზე!“

Sic!

გაიწმინდეთ ხვდეა. ავტორის გაკრახმალებული საყელო და მისი რაფინიური თმის დავარცხნა ნუ გახდება თქვენთვის საბურველი' რომელიც დაგიშლით პოეტის შემოქმედების დანახვას. ამ გზით ჩვენ მივალთ იქამდის, რომ ყოველთვის დავარხნილს და ელეგანტად ჩაცმულს სკრიაბინს ჩვენ გავგზავნით იმავე... ბურჟუაზიულ კვარტალში!

დიახ!

სკრიაბინის მისაღებად საჭიროა გამახვილებული სმენა; სალომეას მისაღებად საჭიროა განვითარებული ტვინი და გახსნილი გული. მაგრამ... ამ ჟამად ჩვენ არ გვეშინია სალომეას დადგმის; მე მსურს უთხრა ორი სიტყვა ჩემს ახალგაზდა მეგობარს ახმეტელს.

თქვენ უკვე აკრძალული ხართ! სალომეა ჯერ არ დადგმულა, და თქვენ კი უკვე აკრძალვის ქვეშ იმყოფებით. აკრძალული ხართ არა მთავრობის მიერ, როგორც კომისარჟევსკაია, არამედ ხელოვნების ეპიხოდოვების მიერ, რომელნიც სალომეაში ვერ ხედავენ ვერც ახალ არქიტეკტონიკას, ვერც იმ ღრმა ტრაგიულ პროტესტს ადამიანის სულისა, რომელმაც მოისურვა ბედნიერება ქვეყანაზე, და არ მოინდომა ცდა ზეცამდე.

არაფერია. დადგება დრო, და ის ხელები რომელნიც დღეს მზად არიან ჩაგეოლონ ქვით, დარცხვენილად დაეშვებიან. ეს ის დღეა, როცა ისინი გაიგლიან რა ყველა საფეხურებს ხელოვნების პირველადელი ფორმებისა, მიეღენ მის ანკარა პირველწყაროამდე.

ჩაუფიქრდით, რამდენად შეუფერებელია დამოკიდებულება თანამედროვე სინამდვილისა ხელოვნებასთან. თქვენ რომ დაუსვათ საკითხი თანამედროვეობის საკმაოდ განვითარებულ პირებს, თუ რომელ თეატრს სთვლიან ისინი საუკეთესოდ, ისინი თქვენ გულწრფელად გიპასუხებენ: მოსკოვის მხატვრული, ე. ი. თეატრი უნვბისყოფობისა და სიმშვიდისა, ე. ი. ყველაზე უკრისტიანესი თეატრი.

ხოლო ჩვენ, თქვენთან ერთად გავწყვიტოთ კავშირი მასთან, და ვეძიოთ თეატრი ვაჟური, თეატრი დამამტკიცებელი ცხოვრებისა ქვეყანაზე.

კ. მარჯანიშვილი.

რითმა 1922 წელში.

არის პირველი სიყვარული რითმის, როდესაც ახალი რითმა ახარებს პოეტს, როგორც ალერსი.

ყოველ პოეტს შეუძლიან დასწეროს მოგონებები რითმაზე, ამ რომანს დაერქმევა „პოეტი და რითმა“ და აქ იქნება მოცემული ძიება რითმის, ბრძოლა მასთან, მისი გადაყვარება და უკანასკნელი შერიგება ან გაყრა რითმასთან.

დღეს, როცა „ქართული რითმა გამართულია როგორც მიმინო“, არავის არ აკვირვებს ახალი რითმები. ქართული რითმა მოშინაურდა. ასონანსი ხმაურობს ლექსებში, როგორც დაგვიანებული სტუმარი, მაგრამ თანდათან ქართულმა პოეზიამ შეითვისა ასონანსი და მას ადგილს უთმობენ (ყანწელების შემდეგ) ჩამორჩენილი პოეტებიც.

რითმის მეფედ ასახელებდნენ სხვა და სხვა პოეტებს, მაგრამ არც ერთხელ არ დასმულა საკითხი: რომელი პოეტის ლექსებში უფრო გამართლებულია რითმა, ვისი რითმა უფრო კანონიერია და მძაფრი.

ჩვენ ვიცით „მაძიებელი აზნაურები“ რითმის და ვიცით მისი ნამდვილი თავადები.

რამოდენიმე წლის წინად „ნიამორებში“ მოხდა რითმების მანიფესტაცია და რითმა იყო დახასიათებული, როგორც „სტრიქონის ბრწყინვალე მსაჯული“.

რითმა ლექსის სამკაულია, მაგრამ რითმა მეტი გამძაფრებით გამოხატავს პოეტურ იდეიას და სახეს.

პუშკინისთვის მაგალითად კანონია რითმაში მოქცევა იმ სიტყვის, რომელიც შეიცავს სტრიქონის მთავარ აზრს და მთავარ სახეს.

როგორ სარგებლობს რითმით რუსთაველი, გურამიშვილი, ვაჟა, ბარათაშვილი? რა არის უფრო ხშირად ამ პოეტების რითმა: არსებითი სახელი, ზედშესრული თუ ზმნა? რამდენი რითმა აქვს რუსთაველს? თუ ქმნის ახალ მეტოდს შემოქმედებისათვის გურამიშვილის რითმა? რომელი ბრუნვა უფრო დამახასიათებელია ვაჟას რითმისათვის? ეს საკითხები თანდათან უნდა გამოარკვიოს ქართულმა პოეტიკამ.

როდესაც მე ვფიქრობდი ახალ წელზე, მე წინდაწინ მივესალმე მომავალი წლის მომავალ რითმებს და გადავაკლე თვალი წარსულს.

რითმა 1922 წელში იდგა ღირსეულ სიმაღლეზე. ასონანსი ამ წელში უფრო განვითარდა, მაგრამ ვერ გადავეჩვია სწორ რითმას. ასონანსები საინტერესო იყო უმეტესად შალვა აფხაიძის და გიორგი ლეონიძის ლექსებში. საკვირველია, რომ პაოლო იაშვილი—ასონანსის პირველი პიონერი საქართველოში, დაუბრუნდა პუშკინის გარმონიულ რითმას.

საზოგადოთ უფროს ყანწელებს ასონანსზე უფრო ახასიათებს სწორი რითმა. მე მოვიყვან პოეტებიდან რამოდენიმე რითმას, როგორც უფრო ორიგინალურს. მე უნდა ავარჩიო რითმები. ისინი მოელიან ჩემს გაღიმებას, მაგრამ მე გულგრძლად ვუსმენ მათ ნაცნობ ხმაურს. მე არ მახარებს ასეთი რითმები: ტკბილი—თბილი. კარი—ნიაღვარი. სრულის—სულის. სვეტები—იმედები.

პოეტები ახალი კავშირიდან: გრიგოლ რობაქიძე შემოსილია როგორც კარდინალი ძვირფასი რითმებით: სართველო—საქართველო, სასურველი—ურვილი, როფილი—პროფილი, სრესილი—შეგლესილი, საკმარი—საქმარო, ნურავინ—მოურავი. პაოლო იაშვილი: ქართული—უკუღმართული, ასეთია—ოსეთია, ნახევარი—ყევარი, ფართალი—იარდალი, მუხლები—შეუღლებით, დაფეთება—გადაკეთება. ტიციან ტაბიძე: ალმასს—ჩალმას, ახალი—ბაყალი, დავაფიცე—ტაბიძე, ჯიში—შიში, ამარა—თამარი, ლირიკა—გაირიყა, ტყუპები—დავიღუპებით. ელენე დარიანი: მოგიყვები—იხვები, სოკოს—გოგოს, უცებ—ვახუცებ. ლილი მეუნარგია: აბრეშუმზე—ვუმზერ, მემკვიდრეს-გაგიკვირდეს. გიორგი ლეონიძე: გამდგარი—დგანდგარი, ჩირთი—ჯირითი, ჩავაწყე—ჭავჭავაძე, ერობა—რემბო, მტევანი—ბაგრატოვანი, მტევნები—დაუტეევნელი, ყვავილი—გამოყვანილი. შალვა აფხაიძე: მკვლელი—მეკვლე, კირით—კვირით. თაგვიც—დაგვიცევი, ისრემით—სირმით. რაჟდენ გვეტაძე: გამოცვლის—გამოსვლისას, სამარიდან—ამარიდა, ხეხილი—გაღეღილი. შალვა კარმელი: რიონს—ამრიოს, თვრამეტი—დინამიტი, ეშაფოტს—საგველეშაპოთ. კოლაუ ნადირაძე: მაისი—უზენაესი, მარცხნით—ვარცხნით, რიდეს—უშეშმარიტესს, გ რეშე—ანგარიში. ნიკოლო მიწიშვილი: ქალწული—დაქანცული, გვარი—კვარი, გაუგებარი—მეგობარი, უშრეტი—უჯრედი, შეცოდებანი—წოდებანი. კონსტ. ჭიჭინაძე: ხმელეთი—სიბნელეთი, უგალავანო—ფალავანო, ილიონებს—კვადრილიონებს, დიადი—მილტიადი. გრიგოლ ცეცხლაძე: ნიჭები—მეკრიჭება, დავანებო—თავანებო. სეზმან ერთაწმინდელი: სეზმან-უნაზესმან, ყაზარმაც—ბზარმაც.

პოეტები ძველი კავშირიდან:

იოსებ გრიშაშვილმა გამოიტანა ერთი ახალი რითმა: უბოძე—კუბოზე (ჭირიანი ზურმუხტი—პოეზიის დღე 1922 წ.) ნინო თარიშვილის ლექსში მე ვნახე ახალი რითმა: სიმძიმილი—ღიმილი. კარგია მარიჯანის „ღამე—შახ-ნამე“. დუტუ მეგრელის რითმები: ციმციმებენ—ადიდებენ, მაღიმიან—მიწვდიან, მარადიულს—გარმონიულს (პოეზიის დღე). მე მეგონა, რომ ვნახავდი ახალ რითმებს მოსაშვილის ლექსებში, მაგრამ მისი რითმები, სხვისი რითმების განმეორებაა. მაგალითად: არსება—ითარსება. სანდრო შანშიაშვილი: ზარი—მეგობარი, მუქი—შუქი, ნაზი—უსურვაზი. შიო მღვიმელი დიდი პატივისმცემელია რითმის და მის ლექსებში ხშირად შეხვდებით დახვეწილ რითმებს. კარგია ფაშალიშვილის რითმა: გრიგალი—შესარიგალი, თუ უკანასკნელი სიტყვა წინააღმდეგი არ არის ქართული გრამატიკის.

გალაკტიონ ტაბიძე იძლევა ასეთ რითმებს 1922 წელში: არ ამსოფლო—სამშობლო, ევროპა—დაუდევრობა, ბურუსს—კენგურუსს, ტანზე—ჩიშპანზე, აჩნია—გამაჩნია, ცეცხლ-მოდებული—ამფოთებული. ტერენტი გრანელი: ქარის—ქალის, ღამისა—დამიცავ.

ს. აბაშელის პოემაში—შორეული ნაპირი არის წელ-მაგარი რითმები: ხარიბდა—დაღარიბდა, სიმხურვალე—წყურვილი. საზოგადოთ აბაშელი ასონანსს და უეცარ რითმებს ერიდება.

ობოლმა მუშამ და ხარიტონ ვარდოშვილმა შეიყვარეს მაღალი რითმა, რომელიც ირხევა წელში, როგორც თვრამეტი წლის ქალწული.

პროლეტარულ პოეტების რითმები 1922 წელში:

სანდრო ეული: გველებათ—შანოებათ.

იონა ვაკელი: მანქანებს—მიგვაქანებს.

პეტრე სამსონიძე: ეკრანზე—ეკლნარზე.

ზომლეთელი: გული—თაიგული.

ლისაშვილი: ვიქეცით—სისწრაფით.

კ. ილოშვილი: ჭაბუკმა—ქარ-ბუქმა,

მხოლოდ პროლეტარული პოეტები არ აქცევენ რითმას ყურადღებას იონა ვაკელის გამოკლებით. ძვირად შეხვდებით მათ ლექსებში მოულოდნელ ორგულს სიტყვისს.

რითმის გამართვაში „ყანწელებმა“ გადამწყვეტი როლი ითამაშეს და შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე რითმა მათი შექმნილია.

დასკვნა ასეთია: უფრო სჭარბობს დაკტილიური რითმა, ასონანსი ნაკლებათ არის განვითარებული, დისსონანსი სრულიად არ არის ხმარებაში: რითმის გამართვაში ყველა პოეტები ბაძავენ „ახალი მწერლობის“ პოეტებს. აღმოჩენილი ბევრი ახალი რითმა, მაგრამ უმრავლესობა პოეტებისა სხვისი რითმებით სარგებლობს და არ იწუხებს თავს რითმის ძიებისთვის. რითმის გამართვამ მეტი ხმოვანობა მისცა ქართულ ლექსს. მეტად დაიწმინდა რითმა თოთხმეტმარცვლოვან ლექსში, ათმარცვლოვანში რითმა კიდევ კოჭლობს. უმეტეს შემთხვევაში ახალი რითმა ეყრდნობა უცხოელ სიტყვას, ან სახელს.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა პოეტმა 1922 წელში სრულიად უარყო რითმა და რიტმი დააყენა უფრო მაღლა. ამის მაგალითები იყო „ბარიკადში“. ქართულ რითმას უთუოდ დაუდგა ახალი რენესანსი და ქართული პოეზიის ისტორიაში ჩვენი საუკუნე იქნება ცნობილი რითმის ოქროს ხანათ.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

სიტყვის დაპყრობა

ჩვენი დღევანდელი მწერლობა ძიებით ხასიათდება. მარტო ეს კმარა, რომ თანაგრძნობით შეხედო. მაგრამ ამ ძიების დანახვა ბევრს არ შეუძლიან. ვისაც უგვრძნია ეპვის შხამის სიმწარე და თვით-გვემის ამმაღლებელი ძალა, მხოლოდ ის გაიგებს იმ ყელ-ჭირვებას, რომელიც აწვალებს თანამედროვე ქართულ მწერლობას. მაგრამ ის ვინც გარედან მოდის, და თვით არ განუცდია ეს კრიზისი, ის ღია თვალებით უცქერის ავარდნილ სიტყვათა კორიანტელს, და სმენას ძალას ატანს გარინდებული. ალარიცის, ვინ არის დამნაშავე.

არ არის მართალი, რომ მკითხველს უყვარდეს დაბალი დონის მწერალი. შეეიძლება ბევრი დიდი ავტორი ვერ გაიგოს, მაგრამ იგრძნობს კ) რაღაც სიდიადეს. უბრი მლოცველი, ღიდი სასოებით უსმენს სახარებას, ბევრს ვერ იგებს, მაგრამ სასოებით კი უსმენს. იქნებ სთქვან, აქ რელიგია არისო. საქართველოში პოეზია ან საერთოდ ხელოვნება არ იყო და არ არის ნაკლებ ძალისა, ვიდრე ქართული ქრისტიანობა ჩვენში დღესაცა სწამთ ლექსისა და სიმღერის მკურნავი ძალა.

მკითხველს და მწერალს შემაერთებელი ანარატი დაეკარგათ. ისინი დღეს ცალკე არსებობენ. და ამ გაოიშვის მიზეზია სიტყვის სისტემის გადაშენება. თავის დროზე, კარგი იყო ის სტილი, როგორც სწერდნენ დღემდე. მაგრამ ყოველ ეპოქას აქვს თავისი სტილი, როგორც ამბობენ. მე კი ვიტყვი, რომ ყოველ სტილს აქვს თავისი ეპოქა. და დღეს ეს სტილი ძიების პროცესშია.

სტილი შეტია ვიდრე სიტყვა სტილი—სიტყვის სისტემაა. მე ამ შემთხვევაში მსურს მხოლოდ სიტყვის ტალიი ჭანვისაზღვრო.

არსებობს თავისებური ქვეყანა—სიტყვის. უცნაურია იგი. მეტად ნაზად მოსჩანს, მაგრამ ამავე დროს საშინელი დესპოტია მეფობს იქ. ისე წმინდად ინახავენ მოდგმას, რომ უცხოს, და აგრეთვე თავისს, მაგრამ გონჯს, არ იკარებენ. ირმც თუ მწერლობაში, სასუბრო ენაში კი სიტყვის შემრჩევი და მცოდნე ცნობას იმსახურებს. მწერლობაში კი, სიტყვა—პატრიცი არის. იგი გოროზი თვალებით გადასცქერის გარეშოს და უფრთხილდება საკუთარ ამპარტავნობას. უცხო სიტყვა იქ მხოლოდ ტვირთმზიდველის საქმეს ასრულებს.

რად ეპატიჟებიან სიტყვას უცხოელები? მიტომ, რომ ან შუშა აკლიათ, ან თავის გამოჩენა უნდათ. ორივე შემთხვევაში ეს იტანჯება. ისე ვგრძნობ უცხო სიტყვას მწერლობაში საზოგადოდ, და პოეზიაში კერძოდ. ამ უკანასკნელთან უფრო, რადგან პოეზიას უფრო მეტი აქვს ზედ-მეტობა ყოველ მხრივი. ქართულ მწერლობას რომ უცქერი, ეფიქრობ: მართალია, ფიზიკურად თუ პოლიტიკურად ბევრი ერი გვემონავებდა, მაგრამ სიტყვის თვალსაზრისით ბევრი ერი დავიმონავეთ, და მათი ყველაზე ძვირფასი განძი—დავისაკუთრეთ და გამოვიყენეთ. ვეფხვის ტყაოსანი მე მგონია როგორც ქართული სიტყვის სამეფო, სადაც სიტყვა-როსტევანი,, არის „ზეფე ღვთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი“. ეს აურარელი უცხო სიტყვათა ლაშქარია, ყმად ქცეულნი, რომელთაც აუკიდიათ აუარებელი ძვირფასი ქვები, და მიდიან ისტორიის შარა გზაზე.

საზოგადოდ ძველად იცოდნენ სიტყვის დამოჩარჩილებაც და პატრონობაც. მაგრამ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეში ქართულ სიტყვას რიხი ეკარგება, და დაცილებულ ადგილს იკრებიან უვარგი სიტყვები, რომელთაც ქართული მეტოქე ალარა ჰყავთ. აირია ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერი. პირველი ქართული გაზეთი არის ამ უპატრონობის ბიულეტენი. ამაოდ სწუხდა გრ. ორბელიანი ენის წახდენას. მან ისიც კი ვერ გაიგო, თუ საიდან მოდიოდა მტერი, და ამრეზილი ლეოპარდივით ეძგერა დარიალიდან მომავალ ი. ჭავჭავაძეს, რომელსაც მოჰქონდა დიდი რისხვა. ი. ჭავჭავაძემ ჩამოიტანა ქართულ მწერლობაში ხევის ყინვა, ქუხილი და სიწმინდე. მას აქეთ დაიწყო ქართული სიტყვის ფასის აწევა. ილიას წამოეშველნენ ყაზბეგი და ვაჟა, და ქართულმა სიტყვამ ისევ ამაყად მოიხვია დგომას ნაჩვევი ნაბადი.

მაგრამ საქართველოში როგორც ყველაფერი ეპიზოდიურია, ისევე ეპიზოდად დარჩა სიტყვისკენ მობრუნება, და მისმა მომდევნო მწერლობამ ვეღარ შესძლო სათავიდან წამოსვლა. დღეს საქმე ისევ ახლად იწყება. მაგრამ ამ დასაწყისში მე მგონია. არის მრავალი საცთური მართალია, ჩვენ ვეძებთ სიტყვებს, ახალს, ნოყიერს, მაგარს, მაგრამ სიტყვა არც ისე ადვილი დასამორჩილებელია, როგორც ბევრს ჰქონია. სიტყვების ძიება არ კმარა. საჭიროა მისი დაპყრობა, რომ მკითხველის წინ გააცარო როგორც იარაღ-აუყრელი ტყვეები. ეს დაპყრობა კი არ არის ჯერ.

ქართველი მწერლები ხშირად ამაოდ ეძებენ ახალ სიტყვას და ისევ მოშინაურებული სიტყვებით წა გამოდიან შემოქმედების პარადზე, ან და ისეთ სიტყვებს ხმარობენ, რომ მხოლოდ ავტორებს ესმით. ეს საფრთხე თავიდან აცილებული უნდა იქნეს.

და ამასთან სიტყვის პრობლემა ამ ჟამად ისეთ ელემენტებს შეიცავს რომელიც წინად არ არსებობდა. სიტყვა წარმოადგენს არა მხოლოდ ფორმალურ ღირებულებას, არამედ საგნობრივს. სიტყვაში მხოლოდ სილამაზე კი არ არის საძიებელი, არამედ სულ-მონაბერობაც. პირველ-ყოფილმა შემოქმედებამ არიცის ასეთი ანალიზი. იქ სიტყვა არ არის ავტონომიური. მას ჰფარავს გრძნობის და გუნების ამღერება, რაც სიტყვას იმორჩილებს. მიტომ იყო, რომ იქ არ იცოდნენ სიტყვასთან ფრთხილი და ეჭვიანი მისვლა. დღეს კი ხელოვნებაში გათავდა მოზეიმე ოლიმპიის ხმა-მაღალი სიცილი და სიმღერა. დღეს შემოქმედება ამღერება კი არ არის, არამედ „შემეცნების პოეზია". აქ სიტყვას ისეთივე სისწორე უნდა, როგორც ფილოსოფიაში, მხოლოდ იმ დამატებით, რომ აქ მეტი უნდა იყვეს სიტყვის გაზნება და დინამიკა. ყველა მწერალს უნდა სიტყვათა საკუთარი კლასიფიკაცია, და არა საკუთარი სიტყვები. სიტყვის ინდივიდუალური შემოქმედება შესაძლებელია, მაგრამ ახალი სიტყვა ჯერ ავტორმა უნდა დაიმორჩილოს, და შემდეგ სიტყვამ კი მკითხველი. ცნობილ სიტყვებში კი მწერალი უნდა იცნობდეს ყოველი სიტყვის სიმძიმეს, მოცულობას და ხმიანობას. მწერალი სიტყვას უნდა განიცდიდეს როგორც მეგობარს, და ვიდრე ენდობა, ათასჯერ უნდა გამოსცადოს,

მე ვიცი, რომ სიტყვის დრამას ბევრი გრძნობს, ისიც ვიცი, რომ ბევრი სცდილობს ახალ სიტყვებით გამოსვლასაც, მაგრამ ვიმეორებ, ეს არ კმარა.

სიტყვას დაპყრობა უნდა. ეს არის ჩემის აზრით დღევანდელ ქართველი მწერლის ყველაზე დიდი ამოცანა.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

შალვა კარმელი

ქალაქში, სადაც მწვანე ნარვალებით დადის როდენბახის მელანქოლია და ღამის ძაღლებს თვალებით დაავეთ გადაშენების სევდა, გარდაიცვალა პოეტი, რომლის სულში გადასული იყო წმინდა ანგელოსის ეკლესიის ჟრუანტელი და იდუმალი შიში მისი დატოვებულ საფლავების. შალვა კარმელი, რომელიც გავდა სანთელს მაღალ კუბოს წინ დანთებულს, იყო პოეტი თაფლის სინაზის და მოწყენის.

იანვრის ცივ დღეებს გაჰყვა პოეტი, რომელიც დადიოდა როგორც მოჩვენება და წაიღო თან ახალი პოეზიის კვარი და საცეცხლური.

შალვა კარმელი, ახალგაზრდა, ქარის გამოხედვით. მას ფილტვებით დაჰქონდა ოქროს და შემოდგომის მიწურულ დღეების მელანქოლია. ის იყო თითქოს გედი ვილიე-დე-ლილის ბაღში გაზრდილი, რომლის ციურ სიმღერაში ისმოდა დატეხილი და შორეულში გადასული ხმები. მე ახლაც მაწუხებს მისი თქმა ლექსის:

გადმოკიდულა ციდან
სემირამიდის ბაღი
გულია ერთი ციდა
და მთის ოდენა თაღი.

ეს იყო თქმა თითქოს საიქიო ინტერვიორის. ეს არის ლექსი Mis Lea Lees ქლექით დათრთვილული. და პოეტი იყო რაინდი ქალბატონ ტუბერკულიზის უმთავრესად.

მართალია ხშირად აიჯამამებდა იგი ლექსს ბაბილონიდან მოტანილ ყალბ ორიენტალიით, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დეკორაცია, უფრო ხშირად ბუტაფორია, რომლის ფონზე ყოველთვის ისევ ტუბერკულოზის ბაცილები ქსოვდენ იმ უფსკრულს, რომელშიაც ყველაფერი იღუპება „ბაბილონი"-რომლიდანაც გადმოდიან ცრემლები და მგლოვიარე დები ჭლექიან პრინცის, დარჩა როგორც ორანჟერეია ორხიდეების, რომელშიაც ეძებდა პოეტი მივიწყებულ ბინდებს.

და ნახულობდა მოწყენილ სკამებზე ჩამომჯდართ შორეულ ქალბატონებს. ის გრძნობდა ჭლექს შინაგანი სინათლით და წამებული ნერვებით.

თითქოს გავცივდი თოვლში ღარიბი:
დანესტიანდა ფილტვის კედარო,
შენ ჩემო ლანდო ვის ეყვარები,—
გზა დაკარგულო მუნჯო მხედარო!

დიდხანს ატარა მან ეს დანგრეული „კედარო ფილტვის" და უყურებდა უიმედო მოლოდინით მის სრულ დაშლას. „აღარ მეღირსა განკურნება ჭლექიან ფილტვის" ტიროდა ის ლექსებით. მაგრამ დროს და საზოადოებას სხვა გული აქვს და სხვა მორალი. მხოლოდ ჰიათურის მრეწველთა საბჭოს დახმარებით (გადმოგვცა პატარა თანხა) გახდა შესაძლებელი მისი ბასანუმანში გამგზავრება. თითქოს იგრძნო პოეტმა მოახლოვება დასასრულის და აქ ამღერდა განწირულ სტრიქონებით:

გადასდე შუშა წამლით, ფხვნილები
გავყვეთ ფრინველებს, ტყეში რქიანებს.
შორი ქალაქის ქვაფენილები
მაინც დაგვცემენ ჩვენ ჭლექიანებს.

და მიაშურა ქუთაისს, რომელიც იყო მისთვის მეორე სახე „მკვდარი ბრიუგესი." დედის კალთაში გააყოლა სული საფიჩხიის გრძელ ქუჩას, როცა მისიოთაგის ფანჯარაზე ცვიოდენ თოვლის სათუთი ნაფლეთები. სიკვდილის წინ ერთი სიხარული წაიღო, რომ იხილა უკანასკნელი მოწყენა თოვლის და მისი სიწმინდე. იყო ნაოელი, ჩუმი და თოვლის ფიფქებმა გააცილეს მისი პროცესია.

ახალ პოეზიას რომლის რიგებშიაც ის თავიდანვე დადგა, მოაკლდა პოეტი მოცემული ტალანტით და მზიანი მომავალით ძნელია ამჟამად რაიმეს თქმა მის პოეზიაზე, როცა წინ არის სახე ახლო აღამიანის და გინდა იტირო დაგუბებულ ცრემლებით.

შალვა აფხაიძე.

ჰირისუფალი, მზე მიცვალებულის

შალვა კარმელის მოგონებას

შავ-მანდილიანი, ფითრი სახე, შავ-შალდიანი შავი თვალებით შავს ისრებს ესროდა მწუხრის მზესა.

მზეც, მიწურული, ნალველში, ნაწობ ყვითელ ისრებით თვალთა შავ მორევებს ანარეკლებად ედებოდა.

ფითრი სახე მწვავე ფიქრებში დაწვერილს მწარ აშის ქსელებს აბამდა და სწელავდა ამწვარ ყდებზე და მზეს ფერნაკლულს, შავად აბზინებულს ქსოვილს უბეჭავდა.

— თვალნი დაეხუჭნენ, მზეო, გული დაუდუმდა და დავალ შარა-შარა, მინდვრად გავდივარ, კლდე-ღრეში დავწრწი და ჩემი ცრემლი ეკიდება წამწამთა მწკვრივსა, ექანებიან ღაწვთა ბორცვებზე, და ვერა ვნახულობ თილისმურ ძალსა, რომ ბავეთა ნაპრალის ნაწიბურნი ავუმოძრაო... მზეო გულფართო! დადიხარ, დაიარები ალმოსავალით, დასავალით, სამხრეთსა ჰბატონობ და ჩრდილოეთი შენ წინ ქედს იხრის, გემუდარები, ჩამოუშვი ოქროს გრეხილი, ბროლის მათრახს ჩამოკიდებ, თან გაიყოლე, ეგების ნახო უკვდავი წყარო და მომიტანო: მინდა ვაბკურო ცხედარს ოდროოდ ხანწარკვეთილს.

მზე, მიმცხრალებული, ცოდვით აიტკრიცა და კალთები სივრცეზე გამოფინა.

გადასდე შუშა წამლით, ფხვნილები
გავყვეთ ფრინველებს, ტყეში რქიანებს.
შორი ქალაქის ქვაფენილები
მაინც დაგვცემენ ჩვენ ჭლექიანებს.

და მიაშურა ქუთაისს, რომელიც იყო მისთვის მეორე სახე „მკვდარი ბრიუგესი." დედის კალთაში გააყოლა სული საფიჩხიის გრძელ ქუჩას, როცა მისიოთაგის ფანჯარაზე ცვიოდენ თოვლის სათუთი ნაფლეთები. სიკვდილის წინ ერთი სიხარული წაიღო, რომ იხილა უკანასკნელი მოწყენა თოვლის და მისი სიწმინდე. იყო ნაოელი, ჩუმი და თოვლის ფიფქებმა გააცილეს მისი პროცესია.

ახალ პოეზიას რომლის რიგებშიაც ის თავიდანვე დადგა, მოაკლდა პოეტი მოცემული ტალანტით და მზიანი მომავალით ძნელია ამჟამად რაიმეს თქმა მის პოეზიაზე, როცა წინ არის სახე ახლო აღამიანის და გინდა იტირო დაგუბებულ ცრემლებით.

შალვა აფხაიძე.

საფრანგეთის პოეტები.

1.

ალბერ სამენ.

ინფანტა

ჩემი სულია—შემოსილი ფარჩით ინფანტა
და მისი სევდა მოქანცული გაუხარელად
ესკურიალის სარკეებში მტვრად დაიფანტა,
ეით ნავსადგურში უმოძრაო ჩუმი გალერი.

ფეხებთან უზის მედიდური იმას მწვევარი.
ოცნების ტყეში ქალბატონის ზანტი ბძანებით
იგი შველს მისდევს გასაოცარს მეტ ბრისხანებით
მუდამ მორჩილი ინფანტასი, დაუდევარი.

მისი პაჟია საყვარელი—თვითონ წარსული.
პაჟი უკითხავს მოწიწებით ლექსებს მთვარეულს
და მოგონების ნიავებით შემოგარსული
ყვავილით ხელში ის მიჰყვება ხმას სიზმარეულს...

განწირულია და უვნებო: ახლა რწმუნდება,
რომ გოცებამ არაფერი მას არ წარმატა,
როს იმედების მის წინაზე დგება არმადა,
ის თავის ქვითინს მოწყენილი დაუბრუნდება.

ამმარტავანი—ის ქვითინებს ხმის შენელებით,
მოჭარგულ კედლის ბნელ ოქროზე ისევ დგებიან
თეთრ ვან დეიკის პორტრეტები ვიწრო ხელებით
და დაისისკენ უკანასკნელ ახედებიან.

ერთი მირაჟი ფერწასული და უსახური,
როგორც ყოფილის მოჩვენება—დღეს მხოლოდ მკრთალი,
იმას აღვიძებს სიცოცხლისთვის, როგორც მსახური
და ინფანტაში სიამაყის ინთება ლალი.

მაგრამ უარყოფს ამ წუთიერ სულის ანთებას
და მეტი ნდომით მიეცემა მოთენთილ ღამეს
ცხოვრება შორი ვით სასტიკი ზღვა ელანდება.
იდუმალება მის ბაგეებს თუ ეტყვის რამეს!

მისი თვალების უძრავია წყალი გვიანი.
თითქო ის წყალი ცარიელი ძველი არხია.
იგი ჩაიყლის ბნელ დარბაზებს ჰაერიანი
და ამბობს სიტყვებს, მის გულში რომ მუდამ მარხია.

იგი სარკეში იხედება გაუხარელად.
ოქრის ყვავილით ის ოცნებობს უსიტყვოდ, ზანტად,
ეით ნავსადგურში უმოძრაო ჩუმი გალერი.
სასახლის ბნელში შადრევანი მტვრად დაიფანტა.
ჩემი სულია—შემოსილი ფარჩით ინფანტა.

ალექსანდრ გაფრინდაშვილი.

დაბრუნება მიწასთან

როგორც კერძო ბარათი

2.

კოლლაუ ნადირაძემ დაიწყო დეკადანსით. ძნელია ანადროულობაში ამის აცილება. მეცხრამეტე საუკუნის პოეზიაში ნამდვილი ყვავილი დეკადანსის სურნელებას იძლევა. „ავზნიანი ქალაქი"-ეს სათაური ერთი ლექსის ფორმალურად გაირკვა ავტორის შთაგონებაში. მან განიცადა სხვების გავლენა,-მეგობართა გავლენაც. მაგრამ იგი მაინც „განზე" დარჩა თავისებური. კოლლაუ ნადირაძემ როგორც „განზე-მდგომმა" იცის უეცარი გადახვევა პოეტური პასსაჟების დენაში. თანვე: ყოველი მისი ხვეული არის მძაფრი სენსუალურობით. **და მაინც**: ჩემთვის იგი უფრო გულისხმიერია როგორც „დაბრუნებული მიწასთან." მისი „პატრიოტული ეკლოგა" შედეგი არის როგორც ლირიზმით ისე წინაგზნებით. მისი „ოცნება საქართველოზე" უძვირფასესი ოფორტია პრიმიტივის:

დავიწყებული ძველი ფონები;
შავი კედლები დიდ ციხეების;
ჩვენი დიდება მოსაგონები;
და ფართო ჩრდილი ცაცხვის ხეების.
შედიხარ ჩუმად, გრილი ტაძარი...,
მოთაფლისფერო სახე მამების.
და საცეცხლურში ცოტა ნაცარი;
და შავი ხატი წმიდა სამების.
ნიშანი ბედის-კარზე ნალები.
სახურავები დახავსებული,
და ღვთისმშობელს მოგრძო თვალები;
უმანკო სევდით ამოვსებული.

გიორგი ლეონიძეს არ ეჰირვება მიწასთან დაბრუნება: იგი თვითონ არის „მიწა". მის პოეზიაში უთუოდ არის ვაჟაფშაველას თესლი. ძვირია ასეთი სინოყიერე და სიუხვე. „მიწა" მისთვის სხეულია ნამდვილი და ამისთვის „სისხლიანი". ეს „სისხლიანობა" ისე ღვივის მის ლექსში, რომ ხანდახან იგი პირდაპირ ყასაბი მგონია პოეტური ხატების. მისი „ავტოპორტრეტი" ერთი მაგარი მედალიონთაგანია მიწის ტანის ატეხილობის. „ავდიდდი როგორც გაგასქელი ჩვენი იორი",-ამბობს იგი ერთს გაბედულს ლექსში. „სდგას როგორც სისხლის ტაბასტაში გამსკდარი საშო": ეს მზეზეა ნათქვამი. ამ თქმამ ბევრი გაახელა. მე კი ვიტყვი თამამად: ეს უძლიერესი განცდაა სისხლიანი მზის. გიორგი ლეონიძე კიდევ ბევრს იტყვის ასეთს.

რა ვთქვა შალვა აფხაიძის მიწასთან დაბრუნებაზე? იგი ჰეკატას პოეტია ნისლიანი. თუ „მთვარეს" მივიღებთ უბრალოდ, მაშინ ცხადია შალვა აფხაიძე მიწასთან ვერ იქნება ახლო. მაგრამ მთვარე კოსმიურად სხვა არის: არის იდუმალი კავშირი მიწასა და მის შორის. მიწა როგორც დედა,-როგორც ქალი, რომელიც კოსმიურად გრძნობს მთვარეს. შალვა აფხაიძისათვის მთვარე სწორეთ ასეთია. შესაძლოა ამით ახსნებოდეს, რომ მოტივი მთვარის მადონნას თემაზეა გახსნილი (-აქ იგი ლაფორგის გავლენის ქვეშ იმყოფება). ამ რკალში ორი ლექსია მისი შესანიშნავი: „მისტიური დიალოგი" და „ღამის პეიზაჟი". „ასე მგონია გადაესხა თითქო ქეძაფი". ამას ამბობს იგი ანთება-მოკიდებულ მთვარეზე. სახე სასტიკი და მძაფრი. შემდეგ: „ებრძვის ობობა საოცარი და ჭორფლიანი"(-გახსენეთ: ნიცშეს მთვარის შუქში აწვალებდა ობობა). ეს სახე დაუვიწყარია. კიდევ უფრო სენსუალურია სახეები „ღამის პეიზაჟის". „მიყვება საწყალს ოსმოდა ლამენტი" ... „ეფერ ... ბალ-ბალ ... ბალ-ბალ ... ბალ-ბალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

ალბერ სამენ.

ვერსალი.

ო, ამ დროს ვერსალ, შემოდგომის დარდების ქნარად
შენი წარსული რად მაწვალებს და მაკრთობს მწველი.
ახლოვდებიან და წვებიან ლანდები წყნარად
და შორით ისმის გახურებულ ღიის სუნთქვა ცხელი.

შენს სილამაზეს აქ ინახავს საღამო ნელი
მას აოქროებს და სნეულად ანაზებს მარად.
ფეხების ქვეშით მოშრიალებს ფოთოლი ხმელი.
მოფრინავს ტბაში და ეცემა საფეხურს მკლარად

ჰა შენი წყალი, კუნძულები და ფელფინები.
ბაღები, სადაც არ დადიან ღიეს დოფინები.
და პლიაუმაქების აქ ყოფილი დიდების ფრთები.

შენ ხარ ამაყი ვით ზამბახი და უხმოდ კვდები
და შუალამით შადრევნების დახავსულ პირის
უკანასკნელი მხოლოდ სუსტი ტალღები სტირის.

ზალვა კარმელი

შ ა ლ ვ ა

გადაგაშენა ზაშთრის ობლობამ
შენ უნაზესო, მორჩილო ღვთისა.
და ვერ გიშველა შენ ჩვენმა ძმობამ
და ვერც ალერსმა სამშობლოს ცისამ.

დაცვივდა ფერფლად შენი სხეული
ღონე მიხდილი ბევრი წვალებით.
მაგრამ ამ ჯვარცმით გადაქცეული
გვიყურებ სულში წმინდა თვალებით.

შენ გაიარე ვით მოჩვენებამ
და პოეზიამ დაგადნო სწრაფათ
მალალი ტანჯვის ღვთიურ შვენებამ
დაგვასნეულა და დაგწვა მძიფრათ

და ეხლა სხვა მზე მოფრენილს ზეციერ
შენს სულს განწმენდის ალერსით იღებს
და სიყვარულის უტკბესი ფიქრი
შენ ღვთისმშობელი კარებს გაგიღებს.

კოლიუ ნიდერიძე.

ღამის მელანქოლია

მელიტა აფხაიძეს

მოაწვა მინებს მკერდ დამწვარი საღამოს მთვარე.
ახლა დაიწყებს ყვითელ ქარში ოთახი ტრიალს.
და ხავერდისგან შეკერილი ძაღლი მთრთოლვარე
გაყვება ყეფით მთვარის ნარვალს და ესკურიალს.

ღამის კანკალმა ბამბის პოეტს თითქოს მოუკლო.
თითქოს სივრცეში თვალ დაყრილი მხოლოდ ორია:
სატურნის ფერფლი და მადონა—სიონის კუკლა.
(ო, შორ მნათობზე მიფენილი მელანქოლია).

აქ ქალბატონი დაბრუნდება თვალზე ალმურით:
(მოაცილებენ მას მოწყენით ცრემლების დები)
მოყვება სინებს ისევ მთვარე, ბუმბლებით, მურით
და სველ ოთახში ცივ ფანჯრიდან გადმოვარდება.

(განათდება ოთახი ოდნავი ყვითელი ფერით. შიბის ხე. კუკლები. სანთელი. ვარსკვლავი. კუთხეში ბამბის პოეტი და ქალბატონი).

პირველი კუკლა აიდებს მთვარეს.

მეორე კუკლა. ვასანთლულ ძაფზე ჩამოკიდე მთვარე საწყალი.
ო, ჩემო დაო, შობის კუკლა მგონი ბრძანდებით.
თოვლის ვარსკვლავის გაგვინათებს ჩვენ თეთრი ქვალი.

პირველი კუკლა. თქვენ, ქალბატონო, დაიკავეთ ღაზლის ვარსკვლავი.
შევფრინდეთ ერთად შობის ხეზე ქალალდის ფრთებით.
ახლა მოხვიე სტუმარ მთვარეს ნაქსოვი მკლავი.

პოეტი (თავისთვის) ნაძვზე მწევრებიც დაეკიდენ თითქოს აფთრები.

მეორე კუკლა. შორეულ დედის გველოდება პატარა რძალი.
თითქოს მნათობი არის ისევ თეთრი დობილო.
ო, მწვანე ჯვარის აგონია ფიფქში დავკრძალე.
დროა შეფრინდეთ მოვეფეროთ ჩვენ სანთლის დობილს.

(კუკლები შეფრინდებიან ხეზე მთვარით და ვარსკვლავით)

ქალბატონი. გახუნდა მვარე. და ვარსკვლავი ქსელებს გაარღვევს.
იქნება მალე ხის კუკლების ღამის ქორწილი.
ო, ვინ გადასჭრის ქვის თვალებით ჩემ კაბას ძარღვებს,
როცა სეზონი არის სველი და დალორწილი.

პოეტი ამოვა ქარი: ჩამოაგდებს ხიდან მნათობებს.
ო, ვინ აწვდება დავიწყებულ ცას, ქალწულ სარკეს.
თითქოს ქერძაფის ქალბატონი აწოვებს ობებს.

ისევ იზრდება მთვარის ტანზე მეტეჭი სავსე.
მიდის ობობა ქალბატონის დაქსელილ მხარზე.
(ისმის კანკალი მკვდარ სიშორის დაჭმული ხავსით)
ობი მოწყენას გადაკიდებს დაკარგულ ქარზე

ისევ ქალაქის, წვიმიანი, მაწუხებს სკვერი.
(შობის ხე მკრთალი და კუკლები მთვარემ გაინდო)
ჩემი გზა არის მოფენილი ვარსკვლავის მტვერით,
ბამბის პოეტი, ქალბატონის დავრჩი რაინდი.

თითქოს კუკლაც ვარ და სურაფიმს ხალისით ველი

(ამოეფარება ოთახი მთვარეს. ბნელა. განწირული ხმა პოეტის.)

გადაიჩეხა ბნელ სივრცეში მადონა ჩალის
და მის თვალებში დაიწყება ცრემლების რთველი.
ო, ქალბატონი, შეწამული, მწვანე, ქაჩალი.

იყო სურნელი სივრცეების, მთვარის—ძვირფასი.
და ბნელ ოთახში შუალამით გათავდა ფარსი.

ზალვა აფხაიძე.

ქუთაისში

(ზალვა კარმელის დასაფლავება).

ორშაბათს საღამოს ხუთ საათზე ქუთაისში, კარმელის დასაფლავებაზე გაემგზავრენ სრ. საქ. ახალი მწერლობის კავშირის საბჭოს წევრნი: პავლე ინგოროყვა, პაოლო იაშვილი, სტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და რაჟდენ გვეტაძე. ცოტაოდენი კრიზისი ბილეთების აღებაში და საბჭო მოიწყო განსაკუთრებულ ვაგონის კუპეში. გუნება მეტად. სევდიანი, საუბარში, ყოველ წუთში ისმის საყვარელი სახელი ზალვა კარმელისა. უმეტესობას ჩვენ შორის ქუთაისი არ უნახავს უკანასკნელ 5 წელიწადში. ჩვენი გიდი-ვალერიან გაფრინდაშვილია. ის გვამზადებს ქუთაისისთვის. ლაპარაკობს ჩვეუბრივის ირონიით, და ხანდახან ის თუ დაარღვევს დაღალულს და მოწყენილი გუნებას. ხშირად მოდიან უცნობები. უმეტესად სტუდენტები, ლაპარაკობენ სამძიმარის კილოთი ზალვა კარმელის შესახებ. ყველა იგონებს მას წმინდანიანის მოგონებით. დატანჯული თვალებით გვისმენს ორი გლეხი, ყოფილი ჯარისკაცები, ინვალიდები. ორივეს მოწყვეტილი აქვთ მარჯვენა ხელები. ირკვევა რომ ორივე უბილეთოა. კანონის ღირსეული დარაჯი „რევიზორი"—წინააღდეგობას აძლევს მათ გადაიხადონ ჯარიმა სამი მილიონი. უფულობა არ სჯერა რევიზორს, მცხეთაში სიცივე და თოვლი, და ინვალიდებს დასტოვებენ სადგურზე:

„მშვიდობა ყველას ვინც ზამთარში დარჩება გარეთ".

ღამით თორმეტ საათზე ყველას სძინავს. მხოლოდ ჩვენ კუპეში ისმიან ლექსები და სახელები რუსთაველის, პუშკინის და ლაფორგის. უკანასკნელის ლექსებს ჰიანურის ხმით ატირებს ტიციან ტაბიძე, პავლე ინგოროყვა და პაოლო იაშვილი იგონებენ პუშკინის 19 ოქტომბერს პაოლო იაშვილი რუბიკონის რედაქციიდან იღებს შეკვეთას ამ ლექსის ქართულად თარგმნისათვის. იქვე შეშუშავდა თარგმანის გეგმა. ამ ლექსში პუშკინი იგონებს თავის სოფელში მარტოდ დარჩენილ ოცდაათ ლიცეის ამხანაგს:

Кому-же из нас под старость
в день лицея.
Торжествовать придется одному?...

ყოველს დაწყებულ ლექსს ჩამოგვარეშევს და აწეულის ხმით დაასრულებს ვალერიან გაფრინდაშვილი. მხოლოდ სდუმს მეტად დაღალული და გაფითრებული რაჟდენ გვეტაძე. მისი მწუხარება განსაკუთრებულია. ზალვა კარმელში ჩვენ დავკარგეთ ძმა რაჟდენ გვეტაძემ კი ტყუპი.

დრო მიდის ჩქარა. არასოდეს არ ვიცით რომელ სადგურებზე ვჩერდებით. არც ვკითხულობთ. ხანდახან ფანჯარაში შემოანათებს თოვლი, მთვარით კიდევ უფრო გათეორებული. დილის ექვსს საათზე ჩავედით ქუთაისში. სადგურზე მხოლოდ გაუკრეჭელი უფროსი და სიცივისაგან და შიმშილით გალურჯებული ჩამოხეული ტვირთის გადამტანი მუშები. ერთი რუსი ხუმრობით აძლევს მუშას წინადადებას რომ ზურგით წაიყვანოს გორაზე ოცი ათას მანეთად. მუშტარი ვერც ერთმა მუშამ ვერ იშოვა. ეტლები არ არიან. კიდევ სიბნელეა და ქუჩებში აქა იქ მოსჩანან ანთებული უბრალო სანთლები. ქუჩები ორმოებით არის სავსე. ტალახი როგორც სოფლის ორლობეში. ქვაფენილებზე გადამწვარი ბალახია ამოსული. მთელს ქალაქში ათი სახლი თუა განათებული. დაგვეტყო დაღლილობა. დავბინავდით ვალერიან გაფრინდაშვილთან.

ქუჩებში გაკრულია განცხადებები: ახალი მწერლობის საბჭოს დადგენილებით ზალვა კარმელის დასაფლავება გადადებულია ხუთშაბათ 1 თებერვლისათვის საღამოს ოთხს საათზე ყვავილებით გაეშურეთ მწვანე ყვავილასაკენ. იქ პავლე გოგიაშვილის სახლში ასვენია **ზალვა კარმელი**. დაბალი სუფთა ფიცრული ოდა. ეზო და ოთახები სავსეა ხალხით, ახალგაზდობით. გაისმა შესაზარი კივილი უბედური დედის: გულის დამწველი სიტყვები ადუღებენ ჩვენს ცრემლებს. „ჩემო უგვირგვინო შვილო, იცოდენ შენმა ამხანაგებმა, რომ დედაშენი არ არის დამნაშავე შენს სიკვდილში. ერთი თვეა ჩემს თვალებს ძილი არ მიკარებია. ოცდა ოთხს წელიწადში შენ დაასრულე პოეტობა, სტუდენტობა სიცოცხლე და სიკვდილი. რამდენი ხანია შენს გონებას არ უფიქრია, შენს ხელს კალამი არ აუღია. მითხარით ხალხო რითი ვკლავ ჩემს შვილებს, ეს ხომ მეოთხე კუბოა ჩემი შვილებისო". ყველა ტირის დაუზოგავ ცრემლებით. კუბოს აკვდება კარმელის ორი პატარა ძმა, ორივე ფერმკრთალი. იწყება პანაშვიდი. ისმიან ღვთაებრივი სიტყვები სახარებისა. ქალების გალობა და საკმეველი, დედას ტირილი, ბავშვების ქვითინი, ამხანაგების ჩუმი გარინდება—ყველაფერი შეუწყვეტელი ერუანტელია. დამშრალნი, ჩუმად ვტოვებთ განწირულ სახლს.

საფირჩნიის სასაფლაოზე გაჭრილია საფლავი, მაგრამ საბჭო ადგენს რომ იქ არ არის სასურველი ჩვენი წევრის დამარხვა. გავიგეთ რომ ბაგრატის ტაძრის გალავანში, დასაფლავებისათვის, საჭიროა ნებართვა ეტნოგრაფიულ საზოგადოებისა. საღამოს 9 საათზე მივდივართ ამ საზოგადოების რწმუნებულთან ტრ. ჯაფარიძესთან. თანხმობა მიღებულია. მეორე დღეს დასაფლავებაა და საჭიროა ეხლავე ამორჩევა სამარის ადგილისა. ღამის თერთმეტ საათზე მივდივართ ბაგრატის მთაზე. წვიმა, სიცივე. თოვლი. ტალახი. გალავანი დაკეტილია. სასაფლაო თოვლით დაფარული. გამოდის ფეხშიშველი გალავანის დარაჯი გრიგოლი ბერი. შემოღებულ ფარგალში, რომელიც ეკუთვნის ეტნოგრაფიულ საზოგადოებას დასაფლავებული არიან გიორგი ზდანოვიჩი და კირილე ლორთქიფანიძე. ადგილი პატარაა. პირდაპირ არის ჩვენთვის მისაღები სასაფლაოს ნაწილი, მაგრამ იქ არიან საფლავები, რომელნიც უნდა მოყვენ პანთეონის ფარგალში სასწრაფო თათბირმა გადასწყვიტა ზალვა კარმელის დასაფლავება მოხდეს ქალაქის ცენტრში, მთავარ ანგელოზის გალავანში. ვბრუნდებით იქ. ვარჩევთ ადგილს.

მეორე დღეს, ხუთშაბათს მთელი ქალაქი მიეშურება მიცვალებულის ბინისაკენ. 4 საათზე გუნდმა იგალობა უკანასკნელი სულთათანა. იქვე ეთხოვებიან უტკბილეს სიტყვებით ძვირფას მეგობარს, კარმელის ბავშობის ამხანაგები. თითქმის მთელი ქუთაისი აცილებს ცხედარს საფლავამდის.

ჩვენი დადგენილებით მხოლოდ ერთი გვირგვინია წარწერით: **ზ ა ლ ვ ა კ ა რ მ ე ლ ს—სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი და ცისფერი ყანწები.**

პირველი სიტყვა პავლე ინგოროყვასი კავშირის სახელით. ინგოროყვას სიტყვა, არის სავსე კეთილშობილურ სიამაყით და კარმელისადმი უტკბილეს სიყვარულით.

ყანწების სახელით ლაპარაკობს პაოლო იაშვილი: „ცისფერ ყანწებს" პირველად წაექცა თავი, ყანწებიდან პირველად დაილია შესანდობარი ყველაზე უნცროს ძმის მოსახსენებლად. ჩვენს ორდენს გამოაკლდა გიორგის კავალერი. კარმელს უყვარდა თქმა: „გადმოეკიდა ციდან სემირამადის ბაღი", ეხლა კი ჩაეკიდება სამარეში კარმელის უკანასკნელი ბაღი—მისი კუბო".

საქართველოს ხელოვანთა მთავარი კომიტეტის სახელით ლაპარაკობს თავმჯდომარის მოადგილე ტიციან ტაბიძე. არის სხვა სიტყვებიც. აუარებელი ხალხის ცრემლით სავსე თვალები მისჩერებია კუბოს, რომელიც ნელი-ნელ ეშვება სამარეში. ამინდი მეტად ცუდია, სამარე აივსო მიწით და ყვავილებით დაიფარა. პარასკევს უკანასკნელი საღამო ვალერიან გაფრინდაშვილის სახლში. ჩვენთან არის ქუთაისში ობლად დარჩენილი კოლაუ ნადირაძე. შემოდის გვიკითხავს თავის ლექს კარმელის ხსოვნისთვის. მწერალი ილია ჭყონია, თბილი სიტყვებით ლაპარაკობს ახალ მწერლობაზე, გადმოგვცემს მოყვარული წარწერით თავის წიგნს, ტკბილათ გვიამბობს მამია გურიელის და ძველ მწერლობის შესახებ,

ღრმა თოვლი ეფინება ქუთაისს. ჩვენ უკვე ვაგონში ვართ. ვეთხოვებით კოლაუ ნადირაძეს. გულ დაწყვეტილი, და ცრემლიანი გვშორდება იგი, და „თავშიშველი და ზვიადი" იკარგება ქუთაისის თოვლში. მატარებელში ციცა და ბნელა. მწუხარეთ ვბრუნდებით თბილისში.

რუბიკონელი.

p. s. აღსანიშნავია ის მზრუნველობა ზალვა კარმელის დასაფლავებაში, რომელიც გამოიჩინა მოქ. ვალია ბახტაძემ.

რ.

ზალვა კარმელის საღამო.

კვირას 4 თებერვალს ხელოვანთა სასახლეში შესდგა მორიგი საჯარო სხდომა სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირის. სხდომა შეწირული იყო ახლად გარდაცვალებულ პოეტის ზალვა კარმელის ხსოვნისათვის, განსვენებული ითვლებოდა ახალ მწერლობის კავშირის და საბჭოს წევრად.

საჯარო სხდომას თავმჯდომარეობდა ტიციან ტაბიძე.

გიორგი ლეონიძემ წაიკითხა შ. კარმელის ბიოგრაფია და წერილი ვალ. გაფრინდაშვილის გზით „რუბიკონში".

საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით ახალმწერლობის საბჭოს სამძიმარი გამოუცხადა კავშირის თავმჯდომარემ კოტე მაყაშვილმა. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ტიციან ტაბიძემ: რომელმაც დაახლოვებით სთქვა შემდეგი: ძნელია ლაპარაკი და დაფასება პოეტის პოეტისგან, მაშინ როცა მიცვალებულისაგან სულ რამდენიმე დღე გაცილებს.. და როცა განიცადე ეს დასაფლავება. ზალვა კარმელი ეკუთვნოდა "ცისფერ ყანწების" პოეტების ორდენს. პოეზიის ისტორიას ბევრი ახსოვს ძმობა და შეკავშირება ერთი შკოლის პოეტების-როგორც საფრანგეთში სიმბოლისტების შკოლა ან რუსეთში პუშკინის პერიოდი, მაგრამ „ცისფერ ყანწების" ორდენი წარმოადგენს სრულიად უცნობ მისტიურ კავშირს პოეტებისას და ძმობისას, რომლის მაგალითი შეიძლება ქვეყანას არ ახსოვდეს. "ცისფერი ყანწელები" შეგნებულად ერიდებიან ორდენის კონსტიტუციის დაწერას, ეს კონსტიტუცია იწერება სისხლით და სამუდამო შეგობრობით ზალვა კარმელი ყველაზე უმცროსი იყო „ყანწებში" და ამიტომ იწვევდა მეტ სიყვარულს როგორც ბენიამინ, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ავადმყოფი ტუბერკულოზით. ზალვა კარმელი პირველი პოეტი საქართველოში, რომლის ტემა არის ტუბერკულოზი, მაგრამ ის შეგნებულად ერიდებოდა ამ ტემის ეკსპლოატაციას და მიუხედავათ თავის 24 წლის სიცოცხლისა მან მონახა პოეზიაში საკუთარი ხმა. განსაკუთრებით ასანიშნავია, კარმელის სიყვარული რითმის, რომლის ხელში რითმა მართლა „დაემგვანა ოდალისკას". მისი პირადი ცხოვრება იყო განმოკლე და ამიტომ მოკლებული ბიოგრაფიას და ტემის სხვანაირობას, მაგრამ მიუხედავათ ამისა მასში ლაპარაკობდა დასრულებული პოეტი. და ამიტომ არ იყო გასაკვირველი, რომ მის პირად მეგობრებზე ადრე პავლე ინგოროყვამ მოითხოვა მისთვის ადგილი პანთეონში. პავლე ინგოროყვას სიტყვა პოეტის დასაფლავებაზე გარდა იმისა რომ ამხელდა ახალ მწერლობის სიამაყეს, იყო გამართლება კარმელის როგორც პოეტის.

შემდეგ ილაპარაკა **პაოლო იაშვილმა**, რომელმაც წაიკითხა პოეტის ლექსები და ანალიზი გაუკეთა მის ლექსს. პაოლო იაშვილი კარმელს ადარებდა პეტერბურგში დაღუპულ პოეტს ნიკოლაი გუმილიოვს, რომლის რითმა მისი თქმით თითქო ხელოვნურად ჩაეენილი თვალია. პაოლო იაშვილი იგონებს „ცისფერ ყანწების" დაარსებას და პირველ შეხვედრას მაშინ ჯერ კიდევ ბავშს კარმელთან, რომელსაც თავიდანვე ეტყობოდა სინაზე და კეთილშობილობა და აგრეთვე გამტანობა და განწირვა პოეზიისათვის. ეს პირველი შემთხვევაა, როცა „ცისფერი ყანწები"ს ორდენს მოაკლდა თავის წევრი. ჩვენ აქამდი არ ვიცოდით მისტიური შიში სიკვდილის და ამის შემდეგ ყოველთვის იქნება მოგონება ამ განწირულ ბავშის, რომელიც ჩვენ თვალ წინ ებრძოდა სიკვდილს და ამ აგონიის დროს მაინც ყველაზე უფრო ფიქრობდა პოეზიაზე. კარმელის ლექსი მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ყრმა იყო ალბეჭდილია ნიჭით და პოეტურ მიღწევებით. განსაკუთრებით ასანიშნავია, რომ კარმელი უფრო საქართველოს გარედ ერსად ყოფილა მაინც იცნობდა თანამედროვე ლექსის ტეხნიკას და აგრეთვე თავის ასაკისთვის იყო მეტად კულტურული. ეს კულტურა საზოგადოთ აკლია დღეს ქართველ პოეტების უმრავლესობას, და არავითარი ბოდიშის მოხდა მათ არ უშველის. რაც შეეხება ვაჟა ფშაველას ორატორის ოქმით, ჯერ ის არ იყო მოკლებული კულტურას და მეორე ის სულ სხვა კატეგორიის პოეტი იყო, რადგან მოკლემული იყო როგორც ფენომენი. როდესაც პაოლო იაშვილი შეეხო ზალვა კარმელის დასაფლავებას ქუთაისში, რომლის დამსწრე სხვებთან ერთად ისიც იყო მას ხმამ უღალატა რომ ინტიმობა საზღვარს არ გადასულიყო სიტყვა შეწყვიტა.

გრიგოლ რობაქიძე ამ ღამეს იყო სრულიად უჩვეულო. მისი ასე დარბილება ჯერ არავის უნახავს, ის ლაპარაკობდა როგორც ქრისტე, რომელიც თითქო თავს ადგა იაიროს ქალიშვილს გასაცოცხლებლად ყველაზე საშინელი სიტყვები: დაცილება საგნების და შემდეგ არასდროს შეხვედრა. ვისაც არ სჯერა აღდგომა ის მკვდარია იმავე წამს და არასოდეს არ არის პოეტი. აქ მოიგონა მან ნიურენბურგის ერთი საფლავის წარწერა: „აღვსდგები". მას ზალვა კარმელი წარმოუდგება როგორც პაოლო იაშვილმა დაარქვა თავის წერილში ნიბლია. ამ სიტყვაში არის გადმოცემა სინანის და ბავშობის. გრიგოლ რობაქიძემ ანიშნა მისტიური გავლენა პოეზიაში მთვარის. მისი თქმით მთვარე აწვალებს ყველა პოეტებს, მაგრამ ყველაზე უფრო ნაწამები იყო ლაფორგი, რომელმაც პოეზიას დაუტოვა სრულიად ახალი შეგნება მთვარის, ეს თითქო არის სისხლის დაკლება და გაჭრეოლება ტუბერკულოზის, ზალვა კარმელში იყო ეს სინანე, ამის გარდა მისი ლექსი დაწმენდილი იყო და ტემა გამართლებული: როგორც სალამბო. პოეტს რომ ცოტა დასცლოდა მაში უთუოდ დადგებოდა კარგი ოსტატი. შემდეგ ის იგონებს ერთ შეხვედრის ღამეს ზალვა კარმელთან და რაჟდენ გვეტაძესთან და ამ ღამიდან გამოყავს თავის ლექსი: „ტფილისის ხერხემალი" რომელიც ჯერ არ არის დამუშავებული, მაგრამ რომელიც ცნობილია მის საუკეთესო მიღწევათ და სწუხს რომ ზალვა კარმელის სიცოცხლეში ვერ მოასწრო მასზე ეთქვა დამტკიცებითი სიტყვა, რომელიც ალბად ეს ბავში მოელოდა. დარბაზი სულგანაბული უსმენდა გრიგოლ რობაქიძეს ალბად არავის, ვინც იყო მოწმე ამ ღამის არ დაავიწყდება ეს სიტყვა მთელ თავის სიცოცხლეში.

ვალერიან გაფრინდაშვილი: იგონებს იმ მომენტს, როცა ქუთაისში კარმელის გასვენების დღეს ბაგრატის ტაძრის გალავანში ღამის 12 საათზე საშინელ ქარბუქში და სიცივეში ის, პავლე ინგოროყვა, პაოლო იაშვილი ტიციან ტაბიძე და კარმელის სიყრმის მეგობარი სევერიან ათვალიერებდენ ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილს საფლავისთვის და ნიშნავდენ ადგილებს. ეს წამი მას აგონებს პუშკინის დუელს დანტესსთან: სადაც პუშკინი კარმელია და დანტესი ტუბერკულოზი. შემდეგ ის იგონებს კარმელის დედის ტირილს რომელმაც ყველაზე უფრო მწვავე ფორმულა მისცა თავის შვილის ბედს „24 წელში მოათავე სტუდენტობა, პოეტობა, სიცოცხლე და სიკვდილიო“ ამ სიტყვებით ის მომართავდა „თავის უგვირგვინო შვილს“. შემდეგ მან წაიკითხა ნაწყვეტი ლექსიდან: მაგრამ ვერავის ვერ ვთხოვ ლაყუჩებს“. მისი სიტყვა იყო აფრთოლებული და დამბრმავებელი შედარებით, რომელთა ერთად ამოწერა შეუძლებელია-მხოლოდ სამწუხაროა, რომ სტენოგრაფიული ანგარიში არ დარჩება ამ სიტყვების. რაკიდენ გვეტაძემ წაიკითხა ლექსი კოლლაუნადირაძის, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენ გაზეთში, ლექსი წაიკითხა გობრონ აგარელმა კარმელის სიკვდილზე. საღამო გათავდა ღამის 12 საათზე...

ᲕᲐᲚᲕᲐ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ.

შაბათს, 3 თებერვალს, მთავარ ხელოვნების კომიტეტის ინიციატივით რუსთაველის თეატრში გაიმართა შალვა დადიანის სასცენო, სამწერლო შემოქმედების 30 წლის აღსანიშნავი იუბილე. საღამოს 7 საათზე რუსთაველის თეატრს აუარებელი ხალხი მოაწყდა, თეატრის დარბაზმა ნახევარი ძლივს დაიტია და ზოგნი იძულებულნი იყვნენ უკან დაბრუნებულიყვნენ.

ყველაფრიდან სჩანდა, რომ იუბილიარს დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონია დამსახურებული ქართველ საზოგადოებაში.

პირველად წარმოდგენილ იქნა შალვა დადიანის პიესები: „გეგეკკორი“ და „გუშინდელნი“... ორივე წარმოდგენამ ჩაიარა ისე, როგორც შეეფერებოდა ამ დღესასწაულს.

თორმეტის ნახევარზე სცენაზე დაიწყო საიუბილეო მილოცვები.

მთელი საქართველოს ხელოვნების წარმომადგენლები იყვნენ სცენაზე წარმოდგენილნი ორგანიზაციულად. იუბილიარი გამოიყვანეს—ვალერიან გუნიამ და მარიამ საფაროვისამ.

ორგანიზაციები ასე იყვნენ წარმოდგენილნი:

მთავარი სახელოვნო კომიტეტი—გრ. რობაქიძე, საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი—პავლე ინგოროყვა, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, შალვა აფხაიძე; ძველი მწერალთა კავშირი—კოტე მაყაშვილი, ლეო ქიაჩელი, დუტუ მეგრელი, ვასილ ბერნოვი, დ. ლიხელი.

კონსერვატორიები—ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი; მსახიობთა კავშირი—ალ. იმედაშვილი, ნინო ჩხეიძე, ვალერიან გუნია, ნინო დავითაშვილი, ვ. ჯიქია და ჯ. ვასაძე.

რეჟისორთა კოლეგია: კოტე მარჯანიშვილი, მ. ქორელი, ალ. ახმეტელი და სხვა აუარებელ საზოგადო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მთავრობის წარმომადგენელი.

სრულიად საქართველოს მ. გ. და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასკომიდან და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსაგან სიტყვა წარმოსთქვა კარპეზ მოდებაძემ, რომელმაც მთავრობის დადგენილებით იუბილიარს მიართვა ოქროს პორტსიგარი 100 მილიონად ღირებული.

გრიგოლ რობაქიძის სიტყვა.

სახალხო განათლების კომისარიატიდან, მთავარ სახელოვნო კომიტეტისაგან, საქართველოს ახალ მწერლობის კავშირისაგან სიტყვა სთქვა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ გრ. გოლ რობაქიძემ. გრ. გოლ რობაქიძემ აღნიშნა იუბილიარის დამსახურება, რომ შალვა დადიანი თუმცა იყო სამეგრელოს დიდი მთავრის მემკვიდრე, მაინც მწერლობა და ხალხის სამსახური არჩია სხვა კარიერას, რომელიც უთუოდ შთამომავლობით მას გაადვილებული ჰქონდა სხვაგან ეძია. ევროპაში და რუსეთში, ამბობს ორატორი, ქართველი წარმოდგენილი ჰყავთ, როგორც შეუჩერებელი ტემპერამენტი.

მაგრამ დარბაისელი ქართველი ნამდვილი სახეა ქართული რასისა და ამ სახეს იძლევა შალვა დადიანი. გრიგოლ რობაქიძემ აღნიშნა აგრეთვე, რომ შალვა დადიანი აღზრდილია ქართულ ნიადაგზე და მიუხედავად ამისა მისი ინტელეკტი არ ჩამორჩენია უცხო ნიადაგზე აღზრდილ მწერალს. დასასრულ ორატორი მიმართავს ოდესიის ... გრიგოლ რობაქიძე და ეუბნება დასძლიოს ის დუელიანტი, რომელიც იუბილეს მეორე დღეს გაუჩდება არტისტს. ხალხი აღფრთოვანებული ეგებება გრიგოლ რობაქიძის სიტყვას ყველაზე უფრო ხანგძლივი აპლოდისმენტით.

პაოლო იაშვილის სიტყვა.

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტის სახელით სიტყვას ამბობს პაოლო იაშვილი. ხელოვანთა მთავარი კომიტეტი, რომელიც ეხლა ნამდვილი შტაბია ქართული ხელოვნების და რომელიც ერთ კავშირში თავს უყრის ყველა ქართულ ხელოვანს ამ დღეს ულოცავს შალვა დადიან, რომელსაც მიუძღვის შრომა ამ კავშირის დაარსებაში. შემდეგ პაოლო იაშვილი ეხება შალვა დადიანს, როგორც არტისტს და ანიშნავს იმ დამსახურებას, როცა ის მიუხედავად თვის შთამომავლობისა არ ერიდებოდა კახეთში და სხვა საქართველოს პროვინციებში ურმით და დროგით სიარულს ღა როგორც ბალაგანი თან დაჰქონდა თავის თეატრი. პაოლო იაშვილი აგრეთვე ანიშნავს რომ შალვა დადიანი წარმომადგენელია ბრწყინვალე ქართული ბოგემის რომელიც ფარავს ეხლა ხელოვნებას. და უსურვებს იუბილიარს იყოს ისე ბედნიერი, როგორც მის სამშობლო საქართველოს უნდა იყოს ბედნიერი.

დ. ლიხელის სიტყვა

საქართველოს მწერალთა ძველ კავშირიდან სიტყვას ამბობს ბელეტრისტი დავით ლიხელი. კავშირის დადგენილებით შალვა დადიანის სურათი დაიკიდება მწერალთა კავშირის ბინაში და შალვა დადიანი არჩეულია კავშირის საპატიო წევრად როგორც ერთი დამაარსებელთაგანი.

ვალ. გუნიას სიტყვა

ბათომის და ქუთაისის თეატრების სახელით იუბელიარს მოულოცა დამსახურებულმა არტისტმა ვალერიან გუნიამ

ალ. იმედაშვილის სიტყვა

მსახიობთა კავშირის სახელით სიტყვას ამბობს და საჩუქარს გადასცემს იუბილიარს კავშირის თამჯომარე ალექსანდრე იმედაშვილი, რომელიც ანიშნავს, რომ მსახიობთა კავშირი არის შალვა დადიანის დაარსებული.

ამის შემდეგ სიტყვას ამბობენ: ჭიათურის თეატრიდან ისიდორე ვარიაშვილი ბაროელი, რაბისის ყრილობიდან დ. კნლისონიძე, ქალაქის აღასკომიდან გენტორ ოუხაძე, მასწავლებელთა კავშირისგან დრამატურგი ნ. შიუკაშვილი, პირველ კონსერვატორიიდან: ზაქარია ფალიაშვილი, მეორე კონსერვატორიიდან დიმიტრი არაყიშვილი, რუსულ ტრუპიდან ალ. ტუგანოვი, სომხურ მწერალთა კავშირისგან მწერალი ლეო დიმხატვარი ბაშინჯაგიანი, სომხურ ტრუპიდან არტისტი ალიხანიანი და აუარებელი იყო კიდევ სხვა სიტყვები. განსაკუთრებით გაირჩეოდა კახეთი, კახეთიდან იყვენ სცენის მოყვარენი და მიიწვიეს იუბილიარი ამ ზაფხულს კახეთში. იუბილიარი აგრეთვე გაიწვიეს: ბაქოში, ბათომში, ქუთაისში, სოხუმში და თითქოს ყველა დაბა ქალაქებში საქართველოში.

მღეროდენ დები თარხნიშვილები, ტფილისის ცეკვის სკოლების წარმომადგენლებმა იუბილიარს მიულოცეს ვერცხლის ყანწები, პირველი სადღეგრძელო სცენიდან საზოგადოების მოთხოვნით საქართველოს სადღეგრძელო დალია იუბილიარმა.

ზეიმის გათავების შემდეგ მგრძნობიარე სიტყვით მიმართა საზოგადოებას შალვა დადიანმა და აღუთქვა, რომ შემდეგშიაც მეტი იმუშავოს საქართველოსთვის და გადაუხადა მადლობა. იყო მიღებული აუარებელი დეპეშები, რომელიც წაიკითხა დ. ჩხეიძემ განსაკუთრებით ხალხი ოვაციით შეხვდა ვასო აბაშიძის მილოცვას.

ბანკეტი.

ღამის 3 საათზე კაფე „მეფისტოში“ გაიმართა ბანკეტი, რომელმაც გასტანა დილამდე: ბანკეტის თავმჯდომარეთ დაფამადათ არჩეული იყო პაოლო იაშვილი, თანაშემწეებათ: ვალერიან გუნია, ალ. წუწუნავა და ნ. შიუკაშვილი.

სიტყვები სთქვეს: ვასილ ბარნოვმა, ტიციან ტაბიძემ, დუტუ მეგრელმა, ვალერიან გუნიამ, კოტე მარჯანიშვილმა სოლომონ ახვლედიანმა და სხვებმა.

განსაკუთრებულად დალეულ იქნა სადღეგრძელოები:

გრიგოლ რობაქიძის, პავლე ინგოროყვას და კოტე მაყაშვილის, თვითეულზე ცალკე სიტყვა სთქვა ვალერიან გუნიამ. ბანკეტი ატარებდა მგრძნობიარე და ინტიმურ ხასიათს.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

სახელმწიფო გამომცემლობა.

ჩვენი გაზეთის წარსულ ნომერში ტფილისის გაზეთებიდან გადმობეჭდილი იყო ცნობები საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ, რომელშიაც სამწუხაროდ შეპარულან შეცდომები, ვასწორებთ ზოგიერთებს. სახელმწიფო გამომცემლობას არ დაუწყია ჯერ-ჯერობით შიო არაგვისპირელის ნაწერების ბეჭდვა. რაც შეეხება მონოგრაფიას, ნიკო ფიროსმანზე, ამის რედაქციისთვის არჩეულია სახელგამისგან განსაკუთრებული კომისია, რომელშიც შედიან: სახალხო განათლების კომისარი დ. კანდელაკი და სახელგამის კოლეგიის წევრები რაჟდენ ყალაძე და ს. აბაშელი.

საღამო დრამატიულ სტუდიის.

შაბათს 10 თებერვალს შესდგა გრანდიოზული საღამო ქართულ დრამატიულ სტუდიის სასარგებლოთ. საღამოს დიასახლისები იყვნენ: ელენე ჭავჭავაძე სუხადოლსკაია, ოლგა სვანიშვილი და მ. მუხრან ბატონის ქალი. საინტერესო ნაწილს განაგებდა ქართულ დრამის რეჟისორთა კოლეგია კოტე მარჯანიშვილის თავმჯდომარეობით.

რეფუხლური ბოგოლიუბოვი.

ტფილისის სახელმწიფო ოპერის რეჟისორმა ა. ა. ბოგოლიუბოვმა თავი დაანება ოპერის რეჟისორობას. ის მიწვეულია ბაქოს ოპერის რეჟისორათ, სადაც თვეში იღებს ჯამაგირს 300 მანეთს ოქროთი. როგორც გადმოგვცემენ ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ ბოგოლიუბოვმა დასტოვა ტფილისი.

„მშვენიერი ელენე“, კ. მარჯანიშვილის დადგმა.

საოპერო თეატრში უკვე შეუდგენ ცნობილ ოპერეტის „მშვენიერი ელენე“-ს რეპეტიციებს, რომელსაც სდგამს რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. როგორჯ ცნობილია, ამ ოპერეტას სრულიად ახალი გაგებით და მხატვრული გამართლებით კ. მარჯანიშვილი სდგამდა ამ რვა წლის წინად მისგან შეჭმნილ მოსკოვის „თავისუფალ თეატრში“.

„რაბისის“ ყრილობა.

კვირას, 4 თებერვალს ტფილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა „რაბისის“ ყრილობა. ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში ჩვენ მოვათავსებთ წერილს ამ ყრილობის. შესახებ. რადგან ყრილობაზე აღძრული იყო ისეთი საკითხები, რომელნიც ეხებიან ქართულ ხელოვნებას და იწვევენ ჩვენ ინტერესს.

განათლების მუშაკთა ყრილობა

6 თებერვალს ტფილისში გაიხსნასრულიადსაქართველო განათლების მუშაკთა ყრილობა. დღის წესრიგში შემდეგი საკითხები შედიოდენ: საერთაშორისო მდგომარეობა, მოხსენება ცენტრალურ გამგეობის და სარევიზიო კომის,იის უმუშავრობა და მასთან ბრძოლა, სახალხო განათლების საკითხები, კასსა თვით დამხმარების, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

„სალომეა“ ქართულ ცენაზე

„სალომეა“ უალდის, რომელსაც სდგამდა ალ. ახმეტელი 6 თებერვლისთვის, გადაიდო გამოუცხადებელ დრომდე მსახიობ ქალის თამარ ქავჭავაძის ავადმყოფობის გამო.

„ლონდა“

გრიგოლ რობაქიძის მისტერია „ლონდა“, რომელსაც სდგამდა კ. მარჯანიშვილი, რომელიც უნდა წასულიყო 13 თებერვალს გადაიიდო ერთი კვირით. „ლონდას“ წარმოდგენის დღეს ჩვენ გაზეთში დაიბეჭდება ნაწყვეტები ამ მისტერიიდან და აგრეთვე წერილები ამ პიესის შესახებ.

სარედაქციო ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲒᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ.

კვირას, 11 თებერვალს, ხელოვნების სასახლეში (სერგ. ქ. № 13) გაიმართება სრ. საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის მორიგი

Ს ᲯᲐᲠᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲝᲢᲔᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

წაიკითხავს მოხსენებას:

„ᲡᲐᲜᲓᲝ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ“

დასაწყისი 7 საღამოს **შესასვლელი ფასი 30.000 მანეთი**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲢᲠᲔᲡᲢᲘ

ᲕᲣᲠᲩᲔᲕᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲝᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲜᲘ.

ᲞᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔᲑᲘ:

ინგლისური, სოფეტსკი, სოლიდნი, სოვეტსკი II ბოზარდჟიანცის.

ᲞᲐᲩᲙᲔᲑᲘᲗ:

ბუკეტი, გალეია, დელიკატესი, ეგვიპეტსკი, № 8 საფაროვის, სუდებნი, სიმპატია, კორდო-ვერ „ლევ“ ექსტრა, დიუშეს, როსკოშ, მარსი სეილანოვისა, მარსი საფაროვისა, ზნამია, № 5 ზარია, გოლუბკა, როზა.

ᲙᲝᲚᲝᲤᲔᲑᲨᲘ:

ეგვიპეტსკი, ირის, ჭრიმა, დელიკატეს, ფურორ, იდეალ, სან-კეფი, ეველა ფაბრიკების სოფეტსკი.

ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲔᲑᲘ

უმაღლესი ხარისხის კოლოფებში: „კომეტა“ „ლ. საფაროვისა“, „სლონ“, „ოტბორნი მირ“, № 52 საფაროვისა, კეფ და კრიმსკი „კომეტა“, № 52 სეილანოვისა და ბოზარდჟიანცისა: „სამსონი მაგარი“, № 120 ენფიანდჟიანცისა, № 108 საფაროვისა და შირაკი „კომეტა“, „საერო“, „საგანგებო“—ბოზარდჟიანცისა და „ნაროდნი“, საფაროვის—„კომეტა“, „სასუნი“, „მირი“ და „შირაკი“—ენფიანდჟიანცისა.

ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲔᲑᲘ ᲘᲣᲘᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ 400 ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲘᲡᲐ.